



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ფინანსური მართვის
რეფორმის

2013 წლის სამოქმედო გეგმის
შესრულების წლიური ანგარიში

სარჩევი:

შესავალი

I - ბიუჯეტირება

II - რესურსების მართვა

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

IV - შიდა აუდიტი

V - საინფორმაციო ტექნოლოგიები

შესავალი

1) სახელმწიფო ფინანსების მართვა

სახელმწიფო ფინანსების მართვის ფუნდამენტური მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად ფისკალური პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფო სახსრების სტრატეგიულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ ეფექტურად მიმართვას და ამ პრიორიტეტების დასაფინანსებლად მრავალწლიანი მყარი ფინანსირების პაკეტის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო საშუალოვადიანი პრიორიტეტების დაფინანსების საიმედოობას.

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის სისტემა წარმოადგენს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს:

- ბიუჯეტის სტრატეგიული შედგენა – ეკონომიკური პოლიტიკის და ბიუჯეტის ურთიერთკავშირი. რესურსების საიმედო წყარო და ბიუჯეტით გამოყოფილი მაქსიმალური თანხები, რომელთა შესაბამისად სამინისტროებს და სხვა მომხმარებლებს, შეუძლიათ პრიორიტეტულად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობები ეროვნულ და სექტორულ დონეზე;

- ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება – პროცესი, რომლის დროსაც ხდება რესურსების განთავსება პრიორიტეტული დარგების მიხედვით;

- რესურსების მართვა – 1. ფინანსური რესურსები (შემოსავლების მობილიზაცია, სახელმწიფო ვალი და ნაღდი ანგარიშსწორება), 2. სახელმწიფო შესყიდვები, 3. პერსონალის მართვა და 4. ძირითადი აქტივების მართვა;

- შიდა კონტროლი – 1. ფინანსური რეგულირება და საკონტროლო პროცედურები, 2. რესურსების მართვის პროცედურების ეფექტიანობა და 3. ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგის სისტემები და პროცედურები;

- აღრიცხვა და ანგარიშგება - ფინანსური ტრანზაქციების აღრიცხვა, შეგროვება და ანგარიშგება;

- გარე აუდიტი და ანგარიშვალდებულება - უზრუნველყოფს მთავრობის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე ზემდგომი მაკონტროლებელი ორგანოს და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დამოუკიდებელი შეფასების არსებობას.

2) სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმა

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიული დოკუმენტის პრეზენტაცია შედგა 2009 წლის თებერვალში სახელმწიფო სექტორის ხარჯების შეფასების (PEFA) სამუშაო შეხვედრის დროს. პრეზენტაციის შემდგომ მოხდა დოკუმენტის სრულყოფა და დამტკიცება (აპრილი 2009). რეფორმის უმთავრესი მიზანია სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი განვითარება და გაძლიერება. რეფორმის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება, საბიუჯეტო სისტემის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და პროგნოზირება;

- სტრატეგიული მიდგომით რესურსების მიმართვა პოლიტიკურად და სტრატეგიულად პრიორიტეტულ სფეროებზე;

- რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება;

- სახელმწიფო რესურსების გამოყენებაზე ანგარიშგებისა და კონტროლის უზრუნველყოფა.

3) სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის კოორდინაცია და მონიტორინგი

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლის მარტში ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- რეფორმის სტრატეგიის თაობაზე შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- რეფორმის სტრატეგიის შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება;
- სამოქმედო გეგმის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების ხელშეწყობა;
- სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების საქმიანობის კოორდინაცია;
- რეფორმის სტრატეგიის და შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი;
- სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმების მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების გარდა მონაწილეობას იღებენ საქართველოს პარლამენტის წევრები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები, დონორი ქვეყნების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

4) სამოქმედო გეგმა

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება. სტრატეგიული დოკუმენტის პარალელურად ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა 2009, 2010, 2011 და 2012 წლის სამოქმედო გეგმები.

წინამდებარე 2013 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს განახლებად დოკუმენტს, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეფორმის პროცესის მოქნილობა წლის განმავლობაში მიმდინარე მიღწევებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. აგრეთვე, დოკუმენტი უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების გამჭვირვალობასა და ანგარიშგებას.

I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის დაგეგმვის და მართვის სრულყოფა

1.1 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის გადამუშავებული ვერსია

პერიოდი: იანვარი – ივნისი

პროგრესი: საერთაშორისო დონორებთან (EU, GIZ) მიმდინარეობს მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და თავად პროგრამული ბიუჯეტის ფორმატისა და შინაარსის დახვეწის მიმართულებით; ტექნიკური დახმარების ფარგლებში ექსპერტები იხილავენ არსებულ მეთოდოლოგიას და ბიუჯეტს. წლის ბოლომდე ველოდებით ექსპერტების რეკომენდაციებს, მათ შორის სპეციალურად მხარჯავი დაწესებულებებისათვის ცალკე მეთოდოლოგიური დანართის შესამუშავებლად, რომელიც აისახება ბრძანებაში, რომლითაც დამტკიცებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 ბიუჯეტის დაგეგმვის და მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი; სახაზინო სამსახური; სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტის მართვის გამართული/გაუმჯობესებული ელექტრონული სისტემა (E-Budget)

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა და შემუშავდა E-Budget-ის განახლებული ვერსია, რომელმაც გაიარა ტესტირებას და მზად არის უახლოეს მომავალში რეალურ რეჟიმში გასაშვებად

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: „ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის

დადგენილება, 2014-2017 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები)

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა და მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა დოკუმენტის პირველადი ვერსია, რომელშიც აისახა ქვეყნის ძირითად პრიორიტეტები, მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზები და მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებები. განისაზღვრა ასიგნებები და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები მხარჯავი დაწესებულებებისათვის, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდა 2014 წლის ბიუჯეტის საბიუჯეტო განაცხადების წარმოდგენა.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი და მასთან შესაბამისობაში გადამუშავდა ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 სათანადო ღონისძიებების გატარება 2013 წლის ბიუჯეტის დეფიციტის 2.8%-ის ფარგლებში შენარჩუნების მიზნით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: 2013 წლის ბიუჯეტის დეფიციტი შენარჩუნებულია 2.8%-ის ფარგლებში

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: 2013 წლის მონაცემები ჯერ კიდევ ზუსტდება, ოპერატიული მონაცემების საფუძველზე დეფიციტმა შეადგინა 2.68%

შენიშვნა: დასრულებულია

1.5 2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა 2.4%-იანი დეფიციტის ფარგლებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იქნება არაუმეტეს 2.4%-სა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: IMF-თან შეთანხმდა ბიუჯეტის პარამეტრები. არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე შეიცვალა 2014 წლის ბიუჯეტის პარამეტრები და დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3.9%-ით

შენიშვნა: დასრულებულია

1.6 ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2014 წლის პროგრამული ბიუჯეტების დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი:

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: სამუშაო შეხვედრები გაიმართა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან პროგრამული ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუდმივად მიმდინარეობს კონსულტაციები დეპარტამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საფინანსო ორგანოების წარმომადგენლებს შორის პროგრამული ბიუჯეტის შედგენის თემებზე

შენიშვნა: მიმდინარეობს

II - რესურსების მართვა

1. გადამხდელთა მომსახურების გამარტივება

1.1 საბაჟო გამშვები პუნქტებისთვის პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სრულყოფილი კონტროლის პროცედურების განხორციელება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: შემუშავებულია პროცედურული სახელმძღვანელოები საჰაერო და საავტომობილო მიმოსვლისთვის; შემუშავების პროცესშია ანალოგიური სახელმძღვანელოები სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლისთვისაც

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 როგორც საგადასახადო, ისე საბაჟო კუთხით მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მომსახურების გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: გადამზადების პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, როგორც შემოსავლების სამსახურის შიდა რესურსების გამოყენებით, ისე საერთაშორისო ექსპერტების ჩართვის გზით

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 დეკლარირების პროცედურების გამარტივება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ტვირთის გაფორმების დროისა და ხარჯების შემცირება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: დამუშავების პროცესშია ახალი სტრატეგია/გეგმა, რომელმაც მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს, როგორც დროითი, ისე ფულადი დანახარჯები

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 ინფრასტრუქტურის განახლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამუშაო პირობების გაუმჯობესება, პროცედურების გამარტივება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ექსპლუატაციაში იქნა შეყვანილი საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“. მიმდინარეობს საბაჟო გამშვები პუნქტების: „ლაგოდეხი“, „ნინოწმინდა“, „კარწახი“ რეკონსტრუქცია/მშენებლობა

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის პროცესის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ალტერნატიული აუდიტის მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლება, ალტერნატიული აუდიტის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების ხარისხის შეფასება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ალტერნატიული აუდიტის პროგრამაში ჩართულ კომპანიებს უკვე ჩაუტარდა ტესტირება. ზოგიერთი მათგანის მიერ მოხდა ტესტირების შედეგების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურების დასრულების შემდგომ ცნობილი გახდება იმ კომპანიების ჩამონათვალი ვინც გააგრძელებს საკუთარი მომსახურების შეთავაზებას გადამხდელისთვის

შენიშვნა: დასრულებულია

1.6 აუდიტის პროგრამის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ალტერნატიული აუდიტის მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლება, ალტერნატიული აუდიტის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების ხარისხის შეფასება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: აუდიტის ელექტრონული პროგრამა ნაწილობრივ შეყვანილია ექსპლუატაციაში, თუმცა მის სრულად ამუშავებამდე გარკვეული სამუშაოები კიდევ არის ჩასატარებელი

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.7 აქციზური მარკების მოძრაობისა და აღრიცხვის ახალი საინფორმაციო სისტემის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გადასახადის გადამხდელის მომსახურების გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: იმ პროდუქციის ჩამონათვალს, რომელიც მოქცეულია აქციზური მარკების მოძრაობისა და აღრიცხვის ახალ საინფორმაციო სისტემაში (თამბაქო, ადგილობრივი წარმოების ლუდი) დაემატა გარკვეული სახეობის არაყი

შენიშვნა: დასრულებულია

1.8 გადამხდელთა რეგისტრაციის ფუნქციის გადმოტანა საჯარო რეესტრიდან შემოსავლების სამსახურში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გადასახადის გადამხდელის მომსახურების გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი:

შენიშვნა: პროცესი შეჩერებულია

1.9 შიდა მოხმარების პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამსახურის მუშაობის პროცესის გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მუდმივი პროცესია

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.10 საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დახვეწილი კანონმდებლობა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მუდმივი პროცესია

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.11 უნარების საკვლევი და ინტელექტის კოეფიციენტის საკვლევი ელექტრონული ტესტები

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: რეკრუტინგის პროცესის ობიექტურობა; სამომავლოდ ამ მიმართულებით გაწეული დანახარჯების შემცირება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: აღნიშნული ეტაპისთვის შემუშავებულია უნარებისა და ინტელექტის საკვლევი ტესტები. მიმდინარეობს მუშაობა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრთან აღნიშნული ტესტების ელექტრონული ვერსიის შემუშავებაზე

შენიშვნა: მიმდინარეობს

2. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

2.1 კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის, ორაზროვანი და ბუნდოვანი დებულებების აღმოფხვრის, აგრეთვე დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხების კანონით დარეგულირების მიზნით საგადასახადო კოდექსში და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების პროექტის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებული საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დამატებითი საგადასახადო შეღავათების დაწესებას, თამბაქოს მოხმარების შემცირებას, აგრეთვე, ქველმოქმედების ხელშეწყობას. კერძოდ, განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად:

2017 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა:

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს.

- სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს.

საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6 000 ლარამდე, **ნაცვლად დღეს არსებული 3 000 ლარისა.**

მოგების გადასახადისგან 2017 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს.

ერთობლივ შემოსავალში არ შეიტანება და შესაბამისად, მოგების გადასახადით არ დაიბეგრება საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უსასყიდლოდ მიწოდებული უძრავი ქონების (*მათ შორის, მიწის ნაკვეთის*) საბაზრო ღირებულება, თუ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის ან/და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში.

ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვების შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტის ფარგლებში, გამოქვითვას დაექვემდებარება, როგორც მეწარმის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხა, აგრეთვე, ერთობლივ შემოსავალში ასახული უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის (*გარდა უძრავი ქონებისა*)/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება, **ნაცვლად ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებისა,** თავისუფლდება დღგ-სგან ჩათვლის უფლებით.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ფილტრიანი სიგარეტებისათვის (ადგილობრივი და იმპორტირებული) აქციზის არსებული განაკვეთის გაზრდა განხორციელდება 0.6-დან 0.75 ლარამდე.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სამართლიანი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნას, გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფასა და ტექნიკური უზუსტობების და ბუნდოვნების აღმოფხვრას. კერძოდ:

უქმდება საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს განმარტოს კოდექსის ცალკეული ნორმები და აღნიშნული თავისი შეხედულებისამებრ შეუთანხმოს საქართველოს მთავრობას.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, არც ერთი გადასახადის საანგარიშო პერიოდი არ არის კვარტალი და შესაბამისად ვადები კვარტლებით არ არის განსაზღვრული, რის გამოც უქმდება კვარტლებით ვადების გაანგარიშებასთან დაკავშირებული დებულებები.

ხორციელდება საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის და სანქციის დარიცხვის, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირება. ხოლო გარდამავალი დებულებებით განისაზღვრება, რომ ხანდაზმულობის ვადა 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდის მიხედვით შეადგენს 6 წელს, 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდის მიხედვით შეადგენს 5 წელს, ხოლო 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდის მიხედვით - 4 წელს.

საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება საგადასახადო ომბუცმენისათვის, რის გამოც შესაბამისი ცვლილება ხორციელდება 39-ე მუხლში.

ზუსტდება საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელისათვის დოკუმენტის ჩაბარების პროცედურები. ამასთან, გადამხდელის შესახებ საჯარო შეტყობინების გავრცელება დასაშვებია ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირს, 2-ჯერ მაინც გაეგზავნება დოკუმენტი და ადრესატისათვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა.

საგადასახადო კოდექსის 57-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით. ზუსტდება გარდაცვლილი პირის საგადასახადო ვალდებულების შესრულების წესები. მემკვიდრეს, რომელიც აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას უფლება ეძლევა მოითხოვოს გარდაცვლილი პირის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადის/სანქციის თანხის დაბრუნება ან მომავალი გადასახადების ანგარიშში ჩათვლა, გარდაცვლილი პირის პირველადი საგადასახადო დოკუმენტები გამოიყენოს საგადასახადო ანგარიშგების დროს, წარადგინოს საგადასახადო დეკლარაციები (მათ შორის, შესწორებული) გარდაცვლილი პირის საქმიანობის პერიოდზე, გარდაცვლილი პირის შესაბამისი დოკუმენტები გამოიყენოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯის დასადასტურებლად და დღგ-ის ჩათვლის მისაღებად გააგრძელოს გარდაცვლილი პირის მიერ დაწყებული საგადასახადო დავა. ზუსტდება ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებები.

EBRD-ის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე, ასეთი ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი გათავისუფლდება საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან.

უქმდება 106-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დაწესებული შეზღუდვა, რომლის თანახმად არ გამოიქვეთებოდა საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებებთან (მაგ, იჯარაზე და სხვა) დაკავშირებული გარიგების შედეგად გადახდილი თანხა, თუ საგანი არ იყო მესაკუთრეზე რეგისტრირებული საკუთრების უფლებით. ასევე, ხორციელდება დაზუსტებითი ხასიათის ცვლილებები.

საგადასახადო კოდექსს ემატება ახალი 288⁴ მუხლი, რომლის შესაბამისად საგადასახადო ორგანოსათვის საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ არასწორი ინფორმაციის წარდგენისათვის წესდება სანქცია, რამაც გამოიწვია დაქირავებულისთვის დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის ზედმეტად დაბრუნება. სანქციის ოდენობად განისაზღვრება ზედმეტად დაბრუნებული თანხის 200 პროცენტი.

ზუსტდება, რომ დღგ-ით დაბეგრას ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა.

ამასთან, ზუსტდება, რომ უსასყიდლოდ, საქონლის მიწოდება/ მომსახურების გაწევა ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება, თუ იგი განხორციელდა საწარმოს მიერ ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობას უფლება ექნება განსაზღვროს საქონლის ცალკეული სახეები, რომელზეც არ გავრცელდება იმპორტის დღგ-ით დაბეგრის სპეციალური წესი.

გადასახადის გადამხდელს მიეცემა უფლება ჩაითვალოს შემოწმების შედეგებზე საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან ან/და საქონლის დროებით შემოტანასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ.

ქონების გადასახადისგან გათავისუფლება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონება (მათ შორის, მიწის ნაკვეთი), რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში.

თუ საგადასახადო დავის განხილვის დასრულებამდე კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ქმედების ჩადენისათვის, ახალი კანონით დადგენილი ნორმის გამოყენება იქნება დავის განმხილველი ორგანოს არა უფლება, არამედ ვალდებულება.

ახალი რედაქციით ყალიბდება საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მექანიზმები. საგადასახადო დავალიანების შემცირების გარდა, უქმდება ყველა სხვა სახის საგადასახადო შეთანხმება. ამასთან, ამ კანონის ამოქმედებამდე საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის გაფორმებული საგადასახადო შეთანხმებები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.2 დაუბეგრავი მინიმუმით სარგებლობის წესის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა მინისტრის ბრძანება

პერიოდი: იანვარი – აპრილი

პროგრესი: მომზადდა და გამოიცა ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 მარტის #87 ბრძანება დაუბეგრავი მინიმუმით სარგებლობის წესის გამოყენების თაობაზე „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბრძანებით განისაზღვრა ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის და თანხის დაბრუნების წესი.

შენიშვნა: დასრულებულია

2.3 ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს მთავრობის დადგენილება

პერიოდი: მარტი-ივნისი

პროგრესი: გამოიცა მთავრობის 2013 წლის 30 მაისის #132 დადგენილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილია დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმი

შენიშვნა: დასრულებულია

2.4 ქვეორმატიულ აქტებში ცვლილებების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა მინისტრის ბრძანება/მთავრობის დადგენილება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა და მიღებულ იქნა ფინანსთა მინისტრის ბრძანებები და მთავრობის დადგენილებები სხვადასხვა საკითხებზე:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №353, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №346, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 2 ოქტომბრის ბრძანება №332, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N322 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №322, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №326, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №291, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №286, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №278, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №272, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 30 აპრილის ბრძანება №128, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №84, 2013 წლის 29 მარტი „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 26 თებერვლის ბრძანება №53, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 26 თებერვლის ბრძანება №54, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის №129 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

შენიშვნა: დასრულებულია

3. ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესება

3.1 ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით მოლაპარაკებების გამართვა - სამხრეთ კორეა, ბელარუსი, იორდანია, მონტენეგრო, ვიეტნამი, მალაიზია, მაროკო.

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა და შეთანხმებების მოქმედების გაფართოებული არეალი

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.2 ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ხელის მოწერა და რატიფიცირება 8 სახელმწიფოსთან: პორტუგალია, უნგრეთი, ხორვატია, შვედეთი, ომანი, ლიბანი, ისლანდია, ლიხტენშტაინი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა და შეთანხმებების მოქმედების გაფართოებული არეალი

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ძალაში შევიდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები სერბეთთან, სან მარინოსთან, ქუვეითთან, უნგრეთთან, სლოვენასთან და ხორვატიასთან. ხელი მოეწერა შეთანხმებას შვედეთთან, ხოლო შეთანხმების ტექსტი პორტუგალიასთან რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ხორვატიასთან და სლოვენასთან რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.3 საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებების “TIEA” დადების მიზნით მოლაპარაკებების გამართვა 3 ქვეყანასთან: ავსტრალია, ალბანეთი, ქუვეითი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.4 საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერა ბრაზილიასთან

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.5 საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებების პარაფირება 9 ქვეყანასთან: ეგვიპტე, მექსიკა, არგენტინა, ალბანეთი, ხორვატია, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, აზერბაიჯანი, ბელარუსი, სამხრეთ აფრიკა, ტუნისი.

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ხელშემკვერელი სახელმწიფოების საბაჟო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენცია და ურთიერთდახმარების აღმოჩენა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.6 გამჭვირვალობისა და საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გამჭვირვალობისა და საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის OECD-ის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა (შემდგომში - შესაბამისობაში მოყვანა)

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გამჭვირვალობისა და საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შესწავლილ იქნა საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის შესაფასებლად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა. მომზადებულ იქნა შესაბამისი კანონმდებლობის ვრცელი მიმოხილვა და შევსებულ იქნა პირველი ფაზის კითხვარი. მიმდინარეობს შემდგომი კონსულტაციები

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.7 GIZ თანამშრომლობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო პოლიტიკის სფეროში ტექნიკური დახმარება შემდეგ საკითხებში: საერთაშორისო გადაზიდვების დაბეგვრა, სუსტი კაპიტალიზაცია, უძრავი ქონების დაბეგვრა

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა

შენიშვნა: მიმდინარეობს

4. საგადასახადო დავების განხილვის სისტემის სრულყოფა

4.1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული საგადასახადო დავების განხილვის სისტემის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: დავების განხილვის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი იყო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით მიმდინარე კვლევის შედეგების გაცნობა, აღნიშნული კვლევა სამინისტროსთვის წარმოდგენილ იქნა 2013 წლის დასასრულს, შესაბამისად ღონისძიების განხორციელების ვადა გადაიწია 2014 წლის დეკემბრამდე

შენიშვნა: განხორციელდება 2014 წელს

5. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების ეფექტური მართვა

5.1 ელექტრონული აუქციონის სისტემის Eauction.ge პოპულარიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ელექტრონული სისტემის ცნობადობის გაზრდა

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: eauction.ge-ს პოპულარიზაციის მიზნით შეხვედრები ჩატარდა ივ.ჯავახიშვილის, ილიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტებში. წლის ბოლომდე დაგეგმილია შეხვედრები სხვა უნივერსიტეტებშიც. განხორციელდა შეხვედრები ევგვიპტელ და ტაჯიკ წარმომადგენლებთან, საქართველოს ყველა რეგიონის მუნიციპალიტეტებთან და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, რათა რეგიონის წარმომადგენლებიც გაცნობოდნენ ელექტრონული სისტემის სპეციფიკას და შესაძლებლობებს

შენიშვნა: დასრულებულია

5.2 მკაცრი აღრიცხვის ფორმების ელექტრონული სისტემის პოპულარიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მკაცრი აღრიცხვის ფორმების ელექტრონული რეგისტრაციის ფორმატზე სრულად გადასვლა, რათა რეგიონში მაცხოვრებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ადგილიდან გაუსვლელად შეეძლოთ მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაცია

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: პოპულარიზაციის მიზნით შეხვედრები ჩატარდა ივ.ჯავახიშვილის, ილიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტებში. წლის ბოლომდე დაგეგმილია შეხვედრები სხვა უნივერსიტეტებშიც. განხორციელდა შეხვედრები ეგვიპტელ და ტაჯიკ წარმომადგენლებთან, ასევე საქართველოს ყველა რეგიონის მუნიციპალიტეტებთან და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრები ჩატარდა ასევე სხვადასხვა კერძო იურიდიულ პირთან

შენიშვნა: დასრულებულია

5.3 სახელმწიფო ორგანოს/საჯარო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობაში გადაცემული და/ან ბალანსზე რიცხული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვის პოპულარიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ორგანოს/საჯარო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობაში გადაცემული და/ან ბალანსზე რიცხული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ეფექტურად და სწრაფად აკუმულირება ერთ სივრცეში

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: პოპულარიზაციის მიზნით შეხვედრები ჩატარდა ივ.ჯავახიშვილის, ილიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტებში. წლის ბოლომდე დაგეგმილია შეხვედრები სხვა უნივერსიტეტებშიც. განხორციელდა შეხვედრები ეგვიპტელ და ტაჯიკ წარმომადგენლებთან, ასევე საქართველოს ყველა რეგიონის მუნიციპალიტეტებთან და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრები ჩატარდა ასევე სხვადასხვა კერძო იურიდიულ პირებთან. მსგავსი შეხვედრები იგეგმება მომავალშიც

შენიშვნა: დასრულებულია

5.4 Eauction.ge - ს დახვეწა/მოდერნიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით დაიხვეწა უსაფრთხოების მექანიზმები კერძოდ: შეიცვალა პაროლის აღდგენის წესი, მენეჯერების ავტორიზაცია ხორციელდება დიჯიტალური მემუაობით, შემუშავდა ინციდენტების მართვის დოკუმენტი, შესაძლებელია ყველა

განხორციელებული ქმედების ლოგირება, შეიზღუდა ბიდინგის მონიტორინგის და საგარანტიო თანხების გადახდების რეპორტის ფუნქციონალები.

სისტემას დაემატა ახალი ფუნქციები: აუქციონის შერჩევა/შეწყვეტა, სარეკლამო ბანერების ადმინისტრირება, მაღაზიის ნავაჭრი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები (Reminders), RS რუკაზე ლოტის დამატება, არასწორი დანიშნულებით ჩარიცხული თანხების მონიტორინგის სისტემა.

მომხმარებლისთვის კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით დაემატა ახალი გადახდების მეთოდები: თიბისი ბანკის, ქართუ ბანკის და e-money-ის მეშვეობით. ყოველ წარმატებულ გადახდაზე მომხმარებელს ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება. შეიცვალა და გამარტივდა ვებ-გვერდის დიზაინი. შესაძლებელია ნებისმიერი ლოტის სოციალურ ქსელში გაზიარება. განმკარგავი ორგანიზაციისა და კატეგორიის მიხედვით სიახლეების გამოწერა. მობილური აპლიკაციის მეშვეობით ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება

შენიშვნა: დასრულებულია

5.5 e-money ელექტრონული საფულე - როგორც გადახდის ალტერნატიული მექანიზმი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: განახლებულ ვებ-გვერდთან ერთად განახლებული და დახვეწილი გადახდის ახალი მექანიზმი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გადახდის ახალი მექანიზმი უკვე ამოქმედებულია და მომხმარებელს საშუალებას აძლევს მარტივად მართოს თანხები ელექტრონული აუქციონის სისტემაში, ასევე eMoney-ზე რეგისტრირებული ყველა მომხმარებლის რეგისტრაციის მონაცემები ინტეგრირებულია eauction.ge-ზე

შენიშვნა: დასრულებულია

5.6 რეგიონული სერვის ცენტრების მოდერნიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მოსახლეობისათვის უფრო მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნა

პერიოდი: თებერვალი - დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა რეგიონული ცენტრების მოდერნიზაცია

შენიშვნა: დასრულებულია

5.7 სამტრედიაში მდებარე სავაჭო ობიექტის მოდერნიზაცია და გაფართოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მოთხოვნის შესაბამისად სავაჭრო ობიექტის გაფართოება და მოდერნიზაცია ხელს შეუწყობს ვაჭრობის გაზრდას

პერიოდი: თებერვალი - დეკემბერი

პროგრესი: თებერვლის თვეში დასრულდა სამტრედიის სავაჭრო ობიექტის გაფართოება და მოდერნიზაცია

შენიშვნა: დასრულებულია

5.8 დასავლეთ საქართველოში ახალი სავაჭრო ობიექტი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: სააგენტოს გაყიდვების 2012 წლის მაჩვენებლის მიხედვით იგეგმება კიდევ ერთი სავაჭრო ობიექტის დამატება, რაც საშუალებას მისცემს უფრო მეტ ადამიანს შეიძინოს მიქცეული ქონება სავაჭრო ობიექტის საშუალებით

პერიოდი: თებერვალი - დეკემბერი

პროგრესი: ქ.ფოთის სავაჭრო ობიექტის გახსნის შემდეგ, 20 ივლისს გაიხსნა კიდევ ერთი სავაჭრო ობიექტი ქალაქ გორში. გარდა ამისა, სავაჭრო ობიექტი დაემატა ბაზა #2-საც და გაიხსნა პრივატიზების მაღაზია, სადაც იყიდება სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონება

შენიშვნა: დასრულებულია

5.9 ახალი საწყობი ბაზა #2-ში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ორგანოს/საჯარო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობაში გადაცემული და/ან ბალანსზე რიცხული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების დასასაწყობებლად ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა

პერიოდი: თებერვალი - დეკემბერი

პროგრესი: თებერვლის თვეში დასრულდა საპრივატიზებო ქონებისათვის ახალი საწყობისა და მცირე სავაჭრო ობიექტის სარემონტო სამუშაოები. მოეწყო საწყობი საპრივატიზებო ქონებისათვის. ივლისის თვიდან ამოქმედდა საბითუმო-საცალო სავაჭრო ობიექტი

შენიშვნა: დასრულებულია

5.10 ტრეინინგების სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ტრენინგების სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება.

პერიოდი: თებერვალი–დეკემბერი

პროგრესი: მომსახურების სააგენტოს 73 თანამშრომელმა გაიარა სხვადასხვა ტრენინგი: მენეჯმენტი და დროის მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ელექტრონული საკადრო პროგრამა HR, ციფრული ხელმოწერის დანერგვის თაობაზე, მარკეტინგი და გაყიდვების ტექნიკები, Microsoft Windows-ის სერვერის ინსტალაცია და კონფიგურაცია, პროექტების მართვა, ორგანიზაციის შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი, ეფექტური მომსახურება და გაყიდვები

შენიშვნა: დასრულებულია

6. ფინანსთა სამინისტროს აკადემია

6.1 ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება და რესურსების განკარგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული ტრენინგები და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 1. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ სამინისტროს სისტემის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის განხორციელდა შემდეგი სასწავლო პროგრამები:

- „მენეჯმენტი და დროის მართვა“

პროექტი განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის ზოგადი მენეჯმენტისა და დროის მართვის სფეროში. ტრენინგის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სააგენტოს ხელმძღვანელობა, ასევე სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელი პირები. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მენეჯმენტის მიმართულების მსმენელების ცოდნისა და უნარების განვითარება

- „მარკეტინგი და გაყიდვების ტექნიკა“;

პროექტი განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მარკეტინგისა და ინოვაციების სამსახურის თანამშრომლებისათვის სპეციალურად შემუშავებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მონაწილეთათვის ცოდნის გაზიარება მარკეტინგისა და გაყიდვების ტექნიკების, მარკეტინგული კვლევების ჩატარების, მარკეტინგული მერჩენდაიზინგისა და მომხმარებელთან კომუნიკაციის სტანდარტების შესაბამისად.

- „ადამიანური რესურსების მართვა“.

სასწავლო პროგრამა მოიცავდა ადამიანური რესურსების მართვისთან დაკავშირებულ თითოეულ მიმართულებას. მსმენელები გაეცნენ სხვადასხვა ტექნიკასა და მექანიზმს, რომელიც საჭიროა ადამიანური რესურსების მართვის თითოეული ფუნქციის წარმატებით განსახორციელებლად.

- „პროექტების მართვა“

სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენდა თანამშრომელთა უნარ-ჩვევების განვითარება პროექტების მენეჯმენტის მიმართულებით.

- „ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება“

პროექტის მიზანს წარმოადგენდა მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის ორგანიზაციული განვითარების შესაძლებლობების კვლევის სწავლება; ცოდნის მიღება, როგორ უნდა გაკეთებულიყო ანალიზი სააგენტოს ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე მისი განვითარების შესაძლებლობებისა და პოტენციური რისკების შესახებ.

2. აკადემიის ორგანიზებით ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სახაზინო და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე „ეფექტური კომუნიკაცია“ რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მონაწილეების უნარების განვითარება მომსახურების მიმართულებით, რთულ კლიენტებთან ურთიერთობისა და კონტაქტის დამყარების უნარი, მოსმენის შეკითხვის დასმის თექნიკები, უკმაყოფილო მომხმარებელთან ურთიერთობის ტექნიკა.

3. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა სამუშაო შეხვედრები თემებზე:

- „ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის განხილვა“

სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის განხილვა, რეკომენდაციების შემუშავება/გაზიარება და დოკუმენტების ერთიანი სახით ჩამოყალიბება. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სისტემის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების წარმომადგენლებმა, ასევე ამ მიმართულებით მოწვეულმა ექსპერტებმა.

- „მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო განაცხადის წარდგენისათვის ელექტრონული პროგრამის გაცნობისა და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია“

ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, შემოსავლების სამსახურის, საბიუჯეტო დეპარტამენტის, სახაზინო სამსახურის, საფინანსო ანალიტიკური სამსახურის, მომსახურების სააგენტოს და საგამომიებო სამსახურის თანამშრომელთა მიერ პროგრამული ბიუჯეტის განხილვა.

4. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლებისათვის განხორციელდა სასწავლო პროგრამა თემაზე: „ტრენინგთა ტრენინგი“. სასწავლო პროგრამის მიზანს წარმოადგენდა პოტენციური ტრენინგებისათვის (დარგის ექსპერტებისთვის) უნარების განვითარებას ტრენინგის ჩატარების, ტრენინგის ტექნიკის იტერაქტიული მეთოდებისა და მსმენელთა სხვადასხვა ტიპებისათვის სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით.

5. ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებისათვის ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ ბრიტანულ საერთაშორისო კომპანია JTI-სთან (Japan Tobacco International) ერთობლივად განახორციელა სამუშაო შეხვედრა თემაზე „თამბაქოს ხელმისაწვდომობა და დაბეგვრა“. სამუშაო შეხვედრის მიმდინარეობისას განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: სხვადასხვა სააქციო სისტემები და მათი მუშაობის სპეციფიკა; მეზობელი ქვეყნების სააქციო სისტემები (სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და რუსეთის მაგალითებზე ასევე განხილული იქნება უკრაინის, მოლდოვისა და ყაზახეთის პრაქტიკა); ევროკავშირის ნეგატიური სააქციო გამოცდილება. აქციის არასწორად გამოყენებასთან და არალეგალურ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები (ბალტიის პირეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითების მიხედვით).

6. ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ „საზღვრის ერთიანი მართვის პროექტი საქართველოსა და სომხეთში“ Integrated Border Management Program, UNDP Georgia პროექტთან თანამშრომლობით განახორციელა სემინარი თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრების უფლება“, სადაც მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ევროპულ სტანდარტებთან დაკავშირებით, ასევე, საერთაშორისო შეთანხმებებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე (მადრიდის პროტოკოლი და სხვა). ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით ევროპის რეგულაციებზე, მის ასპექტებზე და რისკის შემცველ ნივთიერებებზე.

7. „მაკროეკონომიკური მოდელებისა და საბიუჯეტო ოფისის როლი საპარლამენტო პროცესებში“

პროექტი განხორციელდა სს ლუის ბერგერის მიერ განხორციელებული და ევროგაერთიანების მიერ დაფინანსებული „სახელმწიფო ფინანსების მართვის მონიტორინგის პროექტის“ მხარდაჭერით. პროექტის მიზანს წარმოადგენდა პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის საბიუჯეტო პროცესში საბიუჯეტო ოფისის როლის გაცნობა. ინფორმაციის მიწოდება ამ მიმართულებით მაკროეკონომიკური მოდელების თანამედროვე ტექნიკებსა და მის გამოყენებაზე.

8. „ევროკრიზისის დასაძლევად დღემდე განხორციელებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების ანალიზი“

სასწავლო პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მსმენელებისთვის ევროზონაში ეკონომიკური გარემოებების პოლიტიკური და ეკონომიკურ გარემოებების მონეტარული პოლიტიკის და ინფლაციის, ასევე, იმ მიზეზების გაცნობა, რატომ განიცდის ევრო დიდ კრიზისს და კონვერტაციის გაზომვის სისტემებს.

9. „ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური საფუძვლები-გერმანიის გამოცდილების მიხედვით“

მსმენელები გაეცნენ გერმანიის ფისკალური ფედერალიზმის თეორიას, პრაქტიკულ მაგალითებს, ფისკალური ანალიზის სახელმძღვანელოებს.

10. „აქტუალური საგადასახადო რეფორმები საერთაშორისო ჭრილში (აშშ, კანადა, შვეიცარია, გერმანია, ავსტრია, რუსეთი)“

სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენდა მსმენელთა გაცნობა 6 ქვეყნის საგადასახადო სისტემაზე, გლობალიზაციის გავლენასა და საგადასახადო მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებზე.

11. "მებაჟეთა მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამა - ოზონდამშლელი ნივთიერებები და მათი იდენტიფიცირება"

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მებაჟეების უნარების გაძლიერება მონრეალის ოქმთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რაც გულისხმობს ოზონდამშლელი ნივთიერებების იდენტიფიცირებას, მათი შემადგენლობის დადგენას, ასევე იმ ადჭურვილობების კონტროლის გაძლიერებას, რომლებშიც გამოიყენება ოზონდამშლელი ნივთიერებები. ასევე, შესაბამის სფეროში კონტრაბანდული საქმიანობის აღმკვეთი ღონისძიებების გაძლიერებას.

12. ტრენინგი თემაზე: „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით შთანხმების გამოყენება“

მსმენელები გაეცნენ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებას და კანონმდებლობას, მუდმივი დაწესებულების ძირითად წესებს, ბიზნესის მოგებას, გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის ზომებს. აღნიშნული პროექტების ფარგლებში გადამზადდა ფინანსთა სამინისტროს სისტემის - 375 თანამშრომელი.

შენიშვნა: დასრულებულია

6.2 IMF-ის ინსტიტუტის ტრენინგი თემაზე "ფინანსური პროგრამირება და პოლიტიკა" და „ვალუტის გაცვლის პოლიტიკა“ ორგანიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული პროექტები, მონაწილეთა რაოდენობა

პერიოდი: მაისი-სექტემბერი

პროგრესი: პროგრამა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინსტიტუტის ეგიდით ტარდება. 2013 წლის განმავლობაში აკადემიაში განხორციელდა ორი რეგიონული კურსი.

სემინარში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, თურქეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. ასევე, საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლები. მონაწილეები დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში ასევე გაეცნენ საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს. მასში ქართველ კოლეგებთან ერთად ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საერთაშორისო სემინარში მონაწილეობა მიიღეს: აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის და უზბეკეთის ფინანსთა სამინისტროების და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა. საქართველოს მხრიდან - ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, ეროვნული ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თანამშრომლებმა. მონაწილეები სასწავლო პროგრამასთან ერთად საქართველოში მიმდინარე რეფორმებსაც გაეცნენ.

მონაწილეთა რაოდენობა- 55 მსმენელი

შენიშვნა: დასრულებულია

6.3 სახელმწიფო სტრუქტურებში შიდა აუდიტის დეპარტამენტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტრენინგების ჩატარება GIZ-ის ეგიდით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული ტრენინგები და გადამზადებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და ჰარმონიზაციის ცენტრთან თანამშრომლობით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შიდა აუდიტორებისათვის განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

- „შიდა კონტროლის საფუძვლები“
- „შიდა აუდიტის გაძლიერებული კურსი“
- „კორუფციისა და თაღლითობის პრევენცია“
- „საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტი“

მსმენელების რაოდენობა - 110

შენიშვნა: დასრულებულია

6.4 საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) იმპლემენტირების მიზნით სასერტიფიკაციო კურსების ჩატარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საბიუჯეტო ორგანიზაციებში გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა; დანერგილი სისტემის ეფექტური იმპლემენტაცია

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) განხორციელების მიზნით სასერტიფიკაციო კურსების ჩატარება აკადემიისა და სახაზინო სამსახურის მიერ დაგეგმილია 2014 წლის I კვარტალში

შენიშვნა: განხორციელდება 2014 წელს

6.5 ელექტრონული ხაზინის განახლებული პროგრამის სახელმწიფო ხაზინის მართვის საინფორმაციო სისტემის (E-Treasury) დანერგვის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო კურსების ჩატარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საბიუჯეტო ორგანიზაციებში გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა; დანერგილი სისტემის ეფექტური იმპლემენტაცია

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ელექტრონული მომსახურების საინფორმაციო სისტემის შესწავლის მიზნით ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურსა და ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურთან ერთად შეიმუშავა სპეციალური სასწავლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების საფინანსო მიმართულების თანამშრომელთა ხაზინის ელექტრონულ სისტემაში შრომის ანაზღაურების მოდულის ბაზაზე შექმნილი ხაზინის მთავარი წიგნის გამოყენებას. სასწავლო პროგრამა მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებს.

მსმენლების რაოდენობა - 395

შენიშვნა: დასრულებულია

6.6 ფინანსთა სამინისტროს სისტემის სტაჟიორების შერჩევა და გადამზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: მსურველთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა; კონკურსის ობიექტურად, ხარვეზების გარეშე და ეფექტურად ჩატარება; შერჩეული სტაჟიორები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: აკადემიის მიერ ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი, ასევე კონკურსი განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული შერჩევის ეტაპების შესაბამისად

საერთო ჯამში კონკურსი ორგანიზებული იყო 1369 კანდიდატისათვის

შენიშვნა: დასრულებულია

6.7 თანამშრომლობის განვითარება პარტნიორ უწყებებთან, პროექტებთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: მემორანდუმის გაფორმება; ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, აკადემიის მიზნების და ამოცანების დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ჰოლანდიის მხრიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურებისთვის გამოცდილების გაზიარებას და შესაძლებლობების განვითარებას.

გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან რომლის ფარგლებშიც ბიზნეს-ინჟინერიის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის მე-4 კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტები ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას გაივლიან.

დასრულდა ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და USAID-ის პროგრამა NEO-ს ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა გორისა და ზუგდიდის რაიონებში მოქმედ სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ვაკანტური პოზიციების მოძიება და სამუშაოს მაძიებელთა კვლევა. პროექტი განხორციელდა წარმატებით, მოძიებული იქნა სამუშაოს მაძიებელი. სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ პროფესიული ორიენტაციის, პირადი მოტივაციის და IQ ტესტები, რის შემდეგაც შეიქმნა მათი პირადი პროფილები. პროფილები გადაგზავნილი იქნა USAID-ის წარმომადგენლებთან შემდგომში მათი დასაქმების მიზნით

შენიშვნა: დასრულებულია

6.8 Twinning-ის პროექტის დაწყება და განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: აკადემიის შესაძლებლობების განვითარება 4 კომპონენტში: აკადემიის სტრატეგიული მართვის შესაძლებლობის გაძლიერება; აკადემიის შესაძლებლობა დაგეგმოს შეიმუშავოს და მიაწოდოს ტრენინგის მაღალხარისხიანი პროგრამები; აკადემიის შესაძლებლობები, დაგეგმოს და განხორციელოს პროფესიული განვითარების პროგრამები; აკადემიის ხარისხის მართვის სისტემა

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: Twinning-ის პროექტში გამარჯვებულ კონსორციუმთან, ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ მიაღწია საკონტრაქტო პირობებზე საერთო ხედვას. სექტემბრის თვეში ხელი მოეწერა სამოქმედო გეგმას. პროექტმა განხორციელება დაიწყო 2013 წლის ოქტომბერში

შენიშვნა: დასრულებულია

6.9 სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების თანამშრომელთა პროფესიული მომზადება. ამ მიმართულებით სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსებისა და სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული ტრენინგები და გადამზადებული საჯარო მოხელეების რაოდენობა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ორგანიზებით სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების თანამშრომელთა პროფესიული მომზადების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი სასწავლო პროგრამები:

„სახელშეკრულებო სამართალი“ -სამიზნე ჯგუფი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“ - სამიზნე ჯგუფი - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები;

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერია“ - სამიზნე ჯგუფი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“;

„საჯარო ფინანსების მართვა“, „პროექტების მართვა“, „ადამიანური რესურსების მართვა“ - განათლების სამინისტროს სისტემის წარმომადგენლები.

მსმენელების რაოდენობა -243

შენიშვნა: დასრულებულია

6.10 ბიზნეს ორგანიზაციებისა და დაინტერესებული ფიზიკური პირებისათვის სასერტიფიკატო და ტრენინგ-პროგრამების განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული ტრენინგები და გადამზადებულ პირთა რაოდენობა

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში ძლიერი ბიზნეს სექტორის არსებობაზე. ფინანსთა სამინისტრო კი თავისი სისტემით კერძო სექტორთან ერთ-ერთი ყველაზე ახლოს მდგომი სახელმწიფო უწყებაა. ფინანსთა სამინისტროს რეფორმების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვისა და მზარდი ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აკადემია კერძო ორგანიზაციებთან აქტიურად მუშაობს და ახორციელებს მათთვის მნიშვნელოვან კურსებს საგადასახადო და საფინანსო მიმართულებებით. განხორციელებული ტრენინგ-პროგრამებია: „საგადასახადო კანონმდებლობა და ადმინისტრირება“ „საგადასახადო აუდიტი და აუდიტის განხორციელების პროცედურები“ და სხვა. აღნიშნული კურსების ძირითადი ნაწილი ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და ინიციატივებს მოჰყვა.

მსმენელების რაოდენობა - 295

შენიშვნა: დასრულებულია

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. სახელმწიფო სექტორში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (IPSAS)

1.1 IPSAS-ის ოფიციალური თარგმანის გამოცემა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ქართულ ენაზე ოფიციალურად გამოცემული IPSAS

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად და IFAC პოლიტიკის დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით, მთარგმნელებისა და ე. წ. „მიმომხილველი კომიტეტის“ მიერ განხორციელდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ქართულ ენაზე თარგმნა და რედაქტირება. თარგმნის პროცესში შეთანხმებული ტერმინები საოქმო ჩანაწერებთან ერთად გაიგზავნა IFAC-ში. სტანდარტების საბოლოო სახით ჩამოყალიბების და ოფიციალური თარგმანის სტატუსის მოპოვების მიზნით, ამჟამად სახაზინო სამსახურის მხრიდან ხორციელდება აღნიშნული სტანდარტების გადახედვა

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის დანერგვა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგია და ამ მეთოდოლოგიით შედგენილი 2012 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

პერიოდი: იანვარი-აპრილი

პროგრესი: საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილის #97 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ 2012 წლის წლიური ნაერთი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა და წარმოდგენილი სახაზინო სამსახურში. განხორციელდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი და მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 საჯარო სექტორში დასაქმებულ ბუღალტერთა გადამზადება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (IPSAS)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: IPSAS-ში გადამზადებული ბუღალტრები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის მიერ პირველ ეტაპზე ჩატარდა IPSAS შესავალი კურსი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ბუღალტრებისთვის, რომელიც ითვალისწინებდა მსმენელების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ძირითადი პრინციპების გაცნობას, ასევე, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლებას. შემდგომ ეტაპზე იგეგმება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გაძლიერებული სწავლება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრების გადამზადების მიზნით

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 დარიცხვის მეთოდის შესაბამისი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ეტაპობრივად დანერგილი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS)

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვისა და ზოგადად, საჯარო სექტორში არსებული არაფინანსური აქტივების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საერთაშორისო ექსპერტის და ადგილობრივი ექსპერტების მიერ განხორციელდა კვლევა, რაც ითვალისწინებდა გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების მდგრადი მეთოდის შემუშავებას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით და რეკომენდაციების შემუშავებას გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად. კვლევის პროცესში გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების სფეროში არსებული ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტებმა შეისწავლეს სხვადასხვა უწყებებში არსებული პრაქტიკა, გაეცნენ არაფინანსური აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და სხვ. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოვლენილი გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობების გაზიარების და ასევე, გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების

გაცნობის მიზნით, საერთაშორისო ექსპერტის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სემინარი. კვლევის შედეგად მომზადდა ანგარიში გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების შესახებ, რაც IPSAS სტანდარტების დანერგვის პერსპექტივის გათვალისწინებით, დეტალურად მოიცავს კვლევის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებებს გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის არსებულ პრაქტიკასთან მიმართებით, ასევე, გრძელვადიანი აქტივების რეესტრის წარმოებისთვის გასათვალისწინებელ ძირითად მოთხოვნებს და რეკომენდაციებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების არსებული მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 ხაზინის მთავარი წიგნის და ერთიანი ანგარიშთა სისტემის შემუშავება

პასუხისგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული ხაზინის მთავარი წიგნი

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის და სახელმწიფო ხაზინის ერთობლივი მუშაობის შედეგად, განხორციელდა შრომის ანაზღაურების მოდულის ბაზაზე შექმნილი სისტემის - ხაზინის მთავარი წიგნის დახვეწა წინა წლის დავალიანებების დაფარვის, გაურკვეველი ზედმეტობის ჯამურად გამოყენების, ნაღდი ანგარიშსწორებით და სასაქონლო ფორმით ხელფასების გაცემის და სხვა ეკონომიკური ნაკადების სისტემაში აღრიცხვის მიზნით.

გარდა ამისა, საგადასახადო შემოსავლების ხაზინის მთავარ წიგნში ინტეგრირების მიზნით, ანალიტიკურად დამუშავდა აღნიშნული პროცესი და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტი - გადასახადების სახაზინო კოდების გაერთიანების შესახებ. სერვისის სრულ სამუშაო რეჟიმში გაშვებამდე მიმდინარეობს ტესტირება

შენიშვნა: მიმდინარეობს

IV - შიდა აუდიტი

1. შიდა აუდიტის პროცედურების სრულყოფა

1.1 ტრენინგების ორგანიზება შიდა აუდიტორებისათვის და შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსებისათვის

პასუხისგებელი სტრუქტურა: შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული ტრენინგები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2013 წლის დასაწყისიდან რიგი ტრენინგების ორგანიზება განხორციელდა ჰარმონიზაციის ერთეულის, დონორებისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით. 2012 წელს შიდა აუდიტის საფუძვლების ტრენინგმა მოიცვა შიდა აუდიტორთა 60%. 2013 წელს დაიგეგმა გაძლიერებული კურსების ორგანიზება. 2013 წელს 3 დღიანი 2 გაძლიერებული კურსი ჩატარდა შიდა აუდიტორებისათვის და მოიცვა 40-მდე შიდა აუდიტორი. ასევე, ორდღიანი კორუფციის და თაღლითობის პრევენციის ტრენინგი.

ამჟამად, მიმდინარეობს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსებისათვის სატრენინგო კურსის მომზადება ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ბაზაზე. აქტივობების სია:

ტრენინგები:

- 12-14 თებერვალი: შიდა კონტროლის შესახებ, 25 მონაწილე;
- 29 აპრილი-2 მაისი: გაძლიერებული შიდა აუდიტის კურსი, 18 მონაწილე;
- 4-6 ივნისი: გაძლიერებული შიდა აუდიტის კურსი, 20 მონაწილე;
- 8-9 ივლისი: კორუფციისა და თაღლითობის პრევენცია: 20 მონაწილე.
- 18-20 დეკემბერი: ეფექტიანობის აუდიტის შესავალი: ეფექტიანობის კვლევა: 18 მონაწილე

სამუშაო შეხვედრები:

- 4 ივლისი - შიდა აუდიტის სუბიექტებთან აქტუალური თემების განხილვა კონფერენციისათვის;
- 18 ივლისი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შიდა აუდიტორებთან საჭიროებათა ანალიზი.
- 11-12 სექტემბერი - შიდა აუდიტის დეპარტამენტების უფროსებთან სამუშაო შეხვედრა პილოტური პროექტების გამოცდილების გაზიარების მიზნით

ცნობიერების ამაღლება და რეფორმის პოპულარიზაცია:

- 21 მარტი- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან შეხვედრა რეფორმის გაცნობის მიზნით;
- 26 მარტი- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის სამი წლის იუბილე;
- 4 აპრილი- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან შეხვედრა რეფორმის გაცნობის მიზნით;
- 10-11 ივლისი- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის კონფერენცია;
- 17 ივლისი- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებთან შეხვედრა რეფორმის გაცნობის მიზნით.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავება/დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

შესრულების მაჩვენებელი: მიღებული საქართველოს მთავრობის ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის სამართლებრივი აქტი

პერიოდი: იანვარი-მარტი

პროგრესი: 2012 წელს განხორციელდა არსებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების გადახედვა და მათი ანალიზი. ჰარმონიზაციის ერთეულის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შიდა აუდიტის

მეთოდოლოგიის შემუშავების აუცილებლობის შესახებ, რომელიც გააერთიანებს ამჟამად არსებულ ორ დოკუმენტს: შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპებს და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას, რომლებიც დამტკიცდა 2010 წლის 30 ივლისს. დოკუმენტზე მუშაობა დაიწყო 2012 წლის მეორე ნახევარიდან ექსპერტის დახმარებით. მეთოდოლოგია მომზადდა საუკეთესო პრაქტიკების ანალიზისა და არსებული საჭიროებების გათვალისწინების შედეგად და დაიწერა ჰარმონიზაციის ერთეულის თანამშრომლების მიერ ინგლისურ ენაზე. ამჟამად, სამუშაო დოკუმენტი დამთავრებულია და მიმდინარეობს მისი თარგმნა და სტილისტური გამართვა. შემდეგ ნაბიჯებს წარმოადგენს აღნიშნული დოკუმენტის ქართული ვერსიის დასრულება, შიდა აუდიტის სუბიექტებისთვის გაცნობა შემდგომი კომენტარებისათვის და საბოლოო ვერსიის დასამტკიცებლად წარდგენა

შენიშვნა: დასრულებულია ნაწილობრივ

1.3 უცხოელი ექსპერტის და ჰარმონიზაციის ცენტრის მხარდაჭერით ორი საპილოტე აუდიტის ორგანიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

შესრულების მაჩვენებელი: შიდა აუდიტორული ანგარიში

პერიოდი: თებერვალი-მარტი

პროგრესი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ საწყის ეტაპზე დახმარებით დაიგეგმა ორი საპილოტე აუდიტი. შიდა აუდიტის სუბიექტების არჩევა განხორციელდა სხვადასხვა კრიტერიუმების შედეგად, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავად დაწესებულებების ხელმძღვანელების დაინტერესება და მხარდაჭერა. ოთხი მსურველი დაწესებულებიდან შეირჩა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები. განხორციელდა პირველადი შეხვედრა, სადაც მონაწილეებს წარედგინათ პროექტის მიზნები და დაკომპლექტდა თითოეული შიდა აუდიტის სუბიექტისთვის სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა მომუშავე შიდა აუდიტორებისგან და ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომლებისგან. ისინი, სამი თვის განმავლობაში მოწვეულ ექსპერტთან ერთად ახორციელებდნენ შიდა აუდიტორულ შემოწმებას. უცხოელი ექსპერტი 3 ვიზიტის ფარგლებში ელექტრონულ კომუნიკაციით ახორციელებდა შიდა აუდიტორული შემოწმების ზედამხედველობას. აუდიტის სახედ ორივე შემთხვევაში არჩეულ იქნა სისტემური აუდიტი. მესამე თვეს, მაისის ბოლოს შემუშავდა სტანდარტების შესაბამისი შიდა აუდიტორული ანგარიში, განხორციელდა აღმოჩენებისა და რეკომენდაციების გაცნობა აუდიტის ობიექტთან და მათი შეთანხმება.

გამოცდილების გაზიარების უზრუნველსაყოფად, ჰარმონიზაციის ცენტრმა სექტემბერში განხორციელა სამუშაო შეხვედრა შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსებისათვის, სადაც უფრო დეტალურად განხილულ იქნა სისტემური აუდიტის განხორციელების პროცესი, მიღებული გამოცდილება და არსებული გამოწვევები პილოტური აუდიტის ჩატარების პროცესში.

ამასთან, შემოდგომაზე ორი დამატებითი პილოტური აუდიტი განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სისტემური აუდიტის კუთხით, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის კუთხით.

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 რისკის შეფასების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა შერჩეული შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული სამუშაო შეხვედრები

პერიოდი: მარტი-ივნისი

პროგრესი: რისკის შეფასება შიდა აუდიტის სუბიექტისთვის აქტუალური და აუცილებელი საკითხია, ვინაიდან აღნიშნულს საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ არეგულირებს. აღნიშნული კანონის თანახმად შიდა აუდიტის სუბიექტმა წლიური გეგმა რისკზე დაფუძნებით უნდა შეიმუშაოს. 2013 წლის პირველ ნახევარში დასრულდა ერთი საპილოტე პროექტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში. მიმდინარეობს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებში. ჩამოთვლილი სამი სამინისტრო შეირჩა გამოთქმული სურვილის შესაბამისად, სადაც უცხოელ ექსპერტთან და ჰარმონიზაციის თანამშრომელთან ერთად ჩატარდა სემინარები, სამუშაო შეხვედრები რისკის შეფასების მოდელების გაცნობის მიზნით. პროექტი ასევე, მიზნად ისახავს დაეხმაროს შიდა აუდიტის სუბიექტს განსაზღვროს აუდიტის გარემო (audit universe), შეიმუშაოს კითხვარები, აირჩიონ შესაფერისი შეფასების მოდელი, მოახდინონ რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა და რანჟირება. საბოლოო შედეგს წარმოადგენდა სტრატეგიული და წლიური გეგმის შემუშავება. სექტემბრის თვეში სამუშაო შეხვედრაზე განხორციელდა დაგროვილი გამოცდილების გაზიარება სამინისტროების ყველა შიდა აუდიტის სუბიექტისთვის

შენიშვნა: დასრულებულია

1.5 ჰარმონიზაციის ცენტრის წლიური ანგარიშის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული წლიური ანგარიში

პერიოდი: მარტი-აპრილი

პროგრესი: წლის განმავლობაში მრავალი ღონისძიების დაგეგმვისა და ჰარმონიზაციის ცენტრში კადრების შემცირებიდან (რაც გამოწვეული იყო ფლუქტუაციითა და დეკრეტით) გამომდინარე ჰარმონიზაციის წლიური ანგარიშის შემუშავება დაიწყო მეორე კვარტალში, მომზადებული სამუშაო ვერსია გადაეგზავნათ შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსებს და შემდგომი რეაგირებისათვის დაიგეგმა მისი განხილვა საბჭოს რიგით მე-9 სხდომაზე, სადაც დამტკიცებულ იქნა

შენიშვნა: დასრულებულია

2. ფინანსური მართვა და კონტროლის სისტემის ირგვლივ ცნობიერების ამაღლება

2.1 ორი პილოტური სამინისტროს სისტემის შესწავლა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მხრივ

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული შიდა აუდიტორული ანგარიში

პერიოდი: მარტი- სექტემბერი

პროგრესი: 2013 წლის მაისში ევროკავშირის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში გამოყოფილ იქნა ორი უცხოელი ექსპერტი, რომლებიც დაახლოებით 3 კვირის განმავლობაში ახორციელებდა 3 საპილოტე სამინისტროს სისტემის შეფასებას კოსო-მოდელის ელემენტების შესაბამისად. საპილოტე სამინისტროებად შეირჩა ფინანსთა, თავდაცვის და იუსტიციის სამინისტროები. განხორციელდა მაღალი რგოლის მენეჯერებთან ინტერვიუები, სამუშაო შეხვედრა და შედეგების გაცნობა. ექსპერტმა დადებითად შეაფასა არსებული კონტროლის სისტემა და ხაზი გაუსვა მოტივირებულ და მცოდნე კადრებს, თუმცა ასევე გამოყო რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს მეტ ყურადღებას და გაუმჯობესებას; ესენია: სტრატეგიული დაგეგმვა, რისკების მართვა, კონტროლის ღონისძიებების და პროცედურების დოკუმენტების სახით წარმოდგენა.

აღნიშნულ შეხვედრებს ესწრებოდა ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომელიც, რათა მოეხდინა, საჭიროებების ანალიზი და ექსპერტთან ერთად დაეგეგმა შემდგომი ღონისძიებები. ჰარმონიზაციის ცენტრის ინიციატივით დაიგეგმა რისკის მართვის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა ერთერთ სამინისტროში, რაც ოქტომბრის თვეში განხორციელდა.

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 დაწესებულების ხელმძღვანელებისათვის და შიდა აუდიტებისათვის შიდა კონტროლის შესახებ ცნობიერების ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული სამუშაო შეხვედრები, სასწავლო ვიზიტები და ტრენინგები

პერიოდი: თებერვალი-ნოემბერი

პროგრესი: წლის დასაწყისში ევროკავშირის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამდღიანი სემინარი, რომელიც მიზნად ისახავდა შიდა აუდიტორების ცნობიერების ამაღლებას შიდა კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით. ექსპერტის მიერ განხორციელდა, როგორც სტანდარტების შესაბამისი მოდელის წარმოდგენა, ისე შიდა კონტროლში შიდა აუდიტის როლის განსაზღვრა, ასევე, ესტონეთის მაგალითის გაზიარება. 3 სამინისტროში განხორციელდა შიდა კონტროლთან დაკავშირებული ღონისძიებები ცნობიერების ამაღლების კუთხით. ასევე, თავდაცვის სამინისტროში განხორციელდა მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის რეფორმის შესახებ ინფორმაციის გაზიარება, რომელიც მოიცავდა ასევე, შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელობის დანახვას და პოპულარიზაციას. ოქტომბერში ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შერჩეულ იქნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო რისკის მართვის სისტემის დანერგვის პროექტში მონაწილეობის მისაღებად. ერთი თვის განმავლობაში უცხოელ ექსპერტთან ერთად განხორციელდა შეხვედრები ხელმძღვანელებთან რისკის მართვის შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით. შეირჩა ჯგუფები და ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაციები სტრატეგიული მართვის, დაგეგმვის რისკების შეფასების მიმართულებით. შედეგად, საშუალება მიეცათ შეეხსნათ ექსპერტის მიერ შევსებული ცხრილები და შეემუშაებინათ საკუთარი რისკების შეფასების მოდელი ყველა სტრუქტურული ერთეულის მიმართველისთვის

შენიშვნა: დასრულებულია

2.3 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

შესრულების მაჩვენებელი: სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსია

პერიოდი: ივნისი-დეკემბერი

პროგრესი: OECD/SIGMA-ს მხარდაჭერით მეოთხე კვარტალიდან დაგეგმილია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის 2014-2019 წლების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, რომელიც გულისხმობს საწყის ეტაპზე მდგომარეობის შესწავლა-ანალიზს და შემდგომ განვითარების გეგმის შემუშავებას. ამ კუთხით, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან. თუმცა, აქტივობის განხორციელება მჭიდროდ იყო დამოკიდებული ჰარმონიზაციის ცენტრის რესურსების ხელმისაწვდომობაზე, ვინაიდან 2013 წლის მეოთხე კვარტალში მწირი რესურსებით შიდა აუდიტის კუთხით ორი საპილოტე აუდიტი, სემინარები, ტრენინგები, სასწავლო ვიზიტები, კანონში ცვლილებების პროექტის, მეთოდოლოგიის დამტკიცება და სხვა მრავალი ღონისძიება იყო დაგეგმილი. აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება 2014 წელს

შენიშვნა: მიმდინარეობს

V - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესება და განვითარება

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემის (eBudget) მხარდაჭერა და ახალი ბიზნესპროცესების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტირების პროცესების უზრუნველყოფა ელექტრონული სისტემის მეშვეობით

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: განხორციელდა ცვლილებები სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების პორტალში. პორტალს დაემატა:

- გაგზავნილი ფაილების ნაერთზე ავტომატური მიზმის ფუნქცია;
- ხაზინის ან ბიუჯეტის სისტემებიდან იმპორტირებული მონაცემების რედაქტირების შესაძლებლობა. ასევე, დაინერგა იურიდიული პირების ძიების მექანიზმი და მომზადდა ნაერთი ანგარიშგების დოკუმენტი (იურიდიული პირების მიხედვით დაჯგუფებული შემოსავლების, გადასახდელების, ბალანსების და მომუშავეთა რაოდენობრივი დანართები).

შეიქმნა და მხარჯავი დაწესებულებებისა და ბიუჯეტის ადმინისტრირების პორტალებში ინტეგრირებულ იქნა მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულებების ანგარიშგების დოკუმენტი. ყოველწლიური ბიუჯეტის კანონში ცვლილების საფუძველზე, მომზადდა მომუშავეთა რაოდენობის ცვლილების ცნობების შექმნის მექანიზმი. შემუშავდა ბიუჯეტის სისტემის რეფაქტორინგის, რედიზაინისა და პროცესუალური ოპტიმიზაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პუნქტებს:

- ბაზების სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- პროექტის დაგეგმვა;
- კლასიფიკატორების შექმნის მექანიზმი ადმინისტრირების პორტალში;
- სხვადასხვა პერიოდის კლასიფიკატორების დაკავშირების მექანიზმი ადმინისტრირების პორტალში;
- პროგრამის ზემოთ ჩამოთვლილი ნაწილების ფუნქციონალური სრულყოფა და ინტერფეისების დახვეწა;
- ადმინისტრირების პორტალში დაფინანსების წყაროების დინამიზირება;
- ადმინისტრირების პორტალში წლების დინამიზირება;
- ანგარიშგების დოკუმენტების შექმნის ავტომატიზება.

PFM პროექტის ფარგლებში არსებულ სისტემებს შორის დონორების სინქრონიზაციის მიზნით განხორციელდა საინტეგრაციო სამუშაოები, რომელთა საფუძველზე სამივე სისტემა (eBudget, eTreasury, eDMS) გადავიდა დონორების საერთო კლასიფიკაციაზე.

სისტემის მიმდინარე ვერსიისთვის დასრულებულია მომუშავეთა რიცხოვნობის ცვლილების ცნობის შექმნის, ვალიდაციისა და დამტკიცების ფუნქციონალი. ასევე, დასრულებულია კალათების ფუნქციონალი, რომელიც მოიცავს ცვლილების ცნობების შექმნას ბიუჯეტის ოთხივე პორტალში, ბიუჯეტის პორტალების ცნობებისა და კანონში ცვლილების ჯაჭვების თავმოყრას კალათში, კალათის ვალიდაციას, ანგარიშგებას და დამტკიცებას.

გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სისტემის რეფაქტორინგი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა სისტემის ახალი ვერსია გაუმჯობესებული ფუნქციონალით. რეფაქტორინგის ფარგლებში დასრულებულია და ტესტირების რეჟიმშია სისტემის შემდეგი კომპონენტები:

- პერიოდების, კლასიფიკატორების მართვის, კლასიფიკატორების კონსტრუქტორის ფუნქციონალი;
- წლების და დაფინანსების წყაროების დინამიზირების ფუნქციონალი;
- ნორმატიული აქტების მართვის ფუნქციონალი;
- ფაილების მართვის ფუნქციონალი ბიუჯეტის პორტალებში;
- ხარჯთაღრიცხვის ცვლილების, მიზნობრივი გრანტების ცვლილების, სტრუქტურული ცვლილების, შემოსავლების ცვლილების, ნაშთების ცვლილების, კანონში ცვლილების ჯაჭვების მართვის ფუნქციონალი;
- დინამიური ანგარიშგებების, ფორმულით მართვადი ანგარიშგებების, ბიუჯეტის თავების შექმნის და განთავსების ფუნქციონალი;
- მრავალენოვანი მხარდაჭერა.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (eTreasury) განახლებული ბიზნესპროცესებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ელექტრონული ხაზინის ახალი სისტემა

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის სამუშაო რეჟიმში გაეშვა ბუღალტრული პროცესების ავტომატიზაციის პროექტის პირველი ვერსია და შეიქმნა ბუღალტრული საკონტროლო ანგარიშები, რომელიც წარმოადგენს ავტომატური ტრანზაქციების სისწორის გადამოწმების ბერკეტს.

განხორციელდა მიზნობრივი გრანტის მოდულის გაუმჯობესება საბანკო მოდულთან თავსებადობის კუთხით. სავალუტო მოთხოვნების ფარგლებში სისტემას დაემატა შაბლონები, რომლებიც იძლევიან ახალი სავალუტო მოთხოვნების რეგისტრაციის განხორციელების საშუალებას. მოხდა ეროვნული ბანკის საკონვერტაციო დავალებების მიმდინარეობის ცვლილებების სისტემაში ასახვა, რის შედეგადაც, ახალი კურსის გამოქვეყნების მომენტში, ხდება სისტემაში არსებული საკონვერტაციო დავალებების თანხის გადათვლა.

სისტემას დაემატა საგადახდო დავალებათა პაკეტის ჩამოყალიბების ახალი ფუნქციონალი, რომლითაც ხდება სტიპენდიების, სოციალური დახმარებების და სასკოლო ვაუჩერების პროცესირება. შეიქმნა ახალი მოდული ინკასოების/სააღსრულებლო დოკუმენტების დასარეგისტრირებლად. მოდული ინტეგრირებულია ხაზინის საოპერაციო პროცესში.

შეიქმნა ახალი მოდული: არასატენდერო ხელშეკრულების სინქრონიზატორი. მოდული ინტეგრირებულია ხაზინის ხელშეკრულების სისტემაში.

ასევე, შეიქმნა ახალი ანგარიშგებები: მოდიფიცირებული ფორმა 1, განმკარგავის მიხედვით პროგრამულ კოდებზე ხაზინის კლიენტის მხარეს განხორციელებულ ოპერაციების რაოდენობრივი

ინფორმაცია, დაუმოწმებელი ავანსების რეპორტი, დაუმოწმებელი ავანსების რეპორტი სამუშაო პერიოდისა და განმკარგავის მიხედვით და სხვა.

სისტემას დაემატა „სავალუტო დავალებების მიების ფუნქციონალი“, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დავალებების სასურველი პარამეტრებით დაფილტვრა.

შეიქმნა ძირითადი პროცესების (ხელშეკრულების, ვალდებულების, მოთხოვნის, ხელფასებისა და ბუღალტერიის მოდულის) რეგრესტესტები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სისტემის ავტომატური ტესტირება.

ჩატარდა სისტემის რეფაქტორინგი და შემდეგი პროცესების ავტომატიზაცია:

- ანგარიშგებების მიგრაცია ახალ რეპორტსერვერზე;
- ბუღალტრული მთავარი წიგნის ასახვისთვის საჭირო პროცედურების ოპტიმიზაცია/გადაწერა წარმადობის გაზრდის მიზნით;
- შემოსავლების იმპორტის რეფაქტორინგი და მასში ავტომატური მობრუნების ბლოკის ოპტიმიზაცია;
- მრავალენოვანი მხარდაჭერა.

სისტემის ფარგლებში შემუშავებულ იქნა გადასახადების სახაზინო კოდების გაერთიანების რეფორმის სრული ტექნიკური გადაწყვეტა.

ამ ცვლილების რეალურ გარემოში განთავსება მოხდება გადასახადების სახაზინო კოდების გაერთიანების რეფორმის ძალაში შესვლისთანავე

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის (eDMS) სისტემის სრულყოფა და დანერგვა ფინანსთა სამინისტროში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: eDMS სისტემა დანერგილია ხაზინაში და საგარეო ურთიერთობა დეპარტამენტში

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სამუშაო რეჟიმში გაეშვა და დაიხვეწა ემისიის გეგმების ნაწილი, რომლის ფარგლებშიც ხდება წლის განმავლობაში ჩასატარებელი აუქციონების აღრიცხვა და მართვა. განხორციელდა ცვლილებების შეტანა მიზნობრივი გრანტის ნაწილში. ცვლილებების შედეგად, გაუქმდა მიზნობრივი გრანტის დამოკიდებულება სამუშაო პერიოდზე. შესაბამისად, მოიხსნა ყოველი წლის დასაწყისში მონაცემების განახლების აუცილებლობა.

შემუშავდა დონორების სინქრონიზაციის სერვისი, რომლის მეშვეობითაც სისტემიდან მოხდება დონორებზე მონაცემების გაგზავნა საბიუჯეტო და ხაზინის ელექტრონულ სისტემებში. შემუშავდა საბიუჯეტო ცნობების მოდული, რომლითაც მოხდება ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

მიმდინარეობს საგარეო დაფინანსების პროექტების ჩანაწერებში მონაცემების იმპორტი. ამ მომენტისთვის, სისტემაში ინტეგრირებულია ჩამორიცხვები და გადახდები ყველა აქტიურ პროექტზე. მიმდინარეობს შევსებული მონაცემების შემოწმება და აღმოჩენილი შეცდომების გასწორება.

შემუშავდა ფუნქციონალი რომელიც ავტომატურად აუქციონის დამატებისას ახდენს ISIN ნომრის გამოთვლას. საშინაო ვალის მოდულში განოხრციელდა ვადიანობების რეფაქტორინგი, რომლის შედეგად მოხდა ვადიანობების, რეპორტების და ემისიის გეგმების დინამიზირება.

საშინაო ვალის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის მიმოცვლის ავტომატიზება სახელმწიფო ხაზინასთან. კერძოდ, შემუშავდა და რეალურ გარემოში გაიშვა ელექტრონული სერვისი, რომლის მეშვეობით ავტომატურად ხდება საგადახდო მოთხოვნის გენერირება სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში.

მოხდა შემდეგი ავტომატური შეტყობინებების შემუშავება:

- შეტყობინება ჩატარებული აუქციონის შედეგების შესახებ
- შეტყობინება მოახლოებული გადახდის შესახებ.

საგარეო დაფინანსების საინვესტიციო პროექტებს დაემატა სექტორის კლასიფიკატორის მითითების საშუალება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია განისაზღვროს რა სექტორს მოხმარდება პროექტის თანხები. ფინანსურ პარამეტრებს დაემატა მონაცემების კოპირების ფუნქციონალი.

სისტემაში მოხდა შემდეგი ახალი რეპორტების შემუშავება:

- ინფორმაცია სახაზინოების (ვალდებულებები და ობლიგაციები) გამოშვება/დაფარვის შესახებ;
- საშინაო ვალის ნაშთები ვებგვერდისთვის;
- ჩამორიცხვების რეპორტი (სრული ფილტრით);
- ჩამორიცხვები სრულით ფილტრით (მულტისავალუტო);
- ჩამორიცხვები თვეების მიხედვით;
- ჩამორიცხვები კვარტლების მიხედვით;
- გადახდები სრული ფილტრით;
- გადახდების განრიგი სრული ფილტრით;
- გადახდები კვარტლების მიხედვით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 მონაცემთა უსაფრთხოების და სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ცენტრი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დასრულებულია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ცენტრის მშენებლობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროცესების ფორმალიზება

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eDocument) დანერგვა სხვადასხვა მხარჯავ დაწესებულებებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემის დანერგვა სხვადასხვა მხარჯავ დაწესებულებებში

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: 2013 წლის აგვისტოში გაეშვა საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის eDocument-ის ძირეულად განახლებული ვერსია. ცვლილებები შეეხო მომხმარებლის და კანცელარიის მოდულებს, დაიხვეწა და გაფართოვდა ძებნის ფუნქცია. სისტემას დაემატა მოვლენებისა და სიახლეების ფუნქციონალი, გაუმჯობესდა და გამარტივდა ძირითადი ოპერაციების შესრულება.

დანერგვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 14 ახალ ორგანიზაციასთან. მომზადდა სისტემის განახლებული ვერსიის საინსტალაციო პლატფორმა. დაიგეგმა, დროში გაიწერა და დაიწყო 5 ახალ ორგანიზაციაში სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული ტექნიკური და ადმინისტრაციული სამუშაოები

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.6 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის (eHRMS) დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: კადრების სამსახურის მუშაობა ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა მუშაობა არსებული ვერსიის სტაბილიზირებასა და ცვლილებების შეტანაზე. ამჟამად, სისტემა სრულად მოიცავს თანამშრომლის, სტრუქტურის, ანგარიშგების, მივლინებისა და ადმინისტრატორის მოდულებს.

განხორციელდა სისტემის ინტეგრაცია მომხმარებლების და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემასთან (ePassport), რაც განაპირობებს მონაცემების უსაფრთხოებას და თითოეული მომხმარებლისთვის სასურველი უფლებების მინიჭებას.

სისტემაში განხორციელდა მივლინების მოდულის სრულად რეალიზება. თითოეულ მომხმარებელს საშუალება აქვს იმუშაოს მივლინების ბრძანებების მოდულზე და ასახოს სასურველი მონაცემები თანამშრომლების შესახებ.

დანიშნის ფუნქციონალში შეტანილ იქნა ლოგიკური ცვლილებები კანონმდებლობის შესაბამისად. სტრუქტურის ჩანართში განხორციელდა ახალი ოპერაციის დამატება და არსებული ოპერაციების გამარტივება. ახალი კოპირების ოპერაცია მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს რეორგანიზაციულ

საკითხებთან მიმართებაში მარტივად განახორციელოს ახალი სტრუქტურის და შესაბამისი საშტატო ერთეულების შექმნა არსებული ქვედანაყოფის მონაცემების გამოყენებით.

სისტემაში განხორციელდა ახალი ანგარიშგებების დამატება სტატისტიკური ანგარიშგების ჩანართზე. ამჟამად, სისტემაში გენერირდება 30 სხვადასხვა მონაცემზე დამოკიდებული ანგარიში.

განხორციელდა კლასიფიკატორთა სიმრავლის განახლება - სხვადასხვა მოდულზე კლასიფიკატორთა სიმრავლე გადამოწმდა და, საჭიროებიდან გამომდინარე, შევიდა ცვლილებები.

დიზაინსა და არსებულ ფუნქციონალში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც შეეხო თანამშრომლის პირადი ბარათის ყველა ჩანართს, თანამშრომლების რეესტრს, პირადი ბარათის ექპორტირებას, შეტყობინებების ფუნქციონალს, ფერად ინდიკაციასა და ფილტრებს.

მიმდინარეობს მუშაობა სტატისტიკური მონაცემების გენერირების და ანგარიშგებების ხარვეზების გასწორებაზე.

განხორციელდა სისტემის დანერგვა *სსიპ შემოსავლების სამსახურის* ცენტრალურ აპარატში. დასანერგ სისტემაში განხორციელდა კადრების შესახებ მონაცემთა მიგრაცია *შემოსავლების სამსახურის* ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ძველი ვერსიიდან. დამატებით, შესრულდა ტექნიკური სამუშაოები სისტემის ძველი ვერსიის გათიშვის უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წელს სისტემა დაინერგა *სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურში - საქსტატში*. ჩატარდა ტრენინგი და დანერგვისთვის საჭირო პროცედურების ანალიზი.

განხორციელდა *ფინანსთა სამინისტროს* ცენტრალური აპარატის, *სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის*, *სახელმწიფო ხაზინისა* და *მომსახურების სააგენტოს* კადრების გადამზადება eHRMS სისტემის მოხმარებაში.

ამჟამად, მიმდინარეობს *სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში* სისტემის დანერგვისთვის საჭირო პროცედურების დაგეგმვა და მომზადება.

სისტემის პრეზენტაციები ჩატარდა შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებებში: *საქართველოს პარლამენტი*, *რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო*, *დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტროს აპარატი*, *აჭარის ა.რ.-ის მთავრობა*, *უზენაესი საბჭო* და *სხვა სახელმწიფო უწყებები*, *თავდაცვის სამინისტრო*, *ქუთაისის მერია*, *საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო* და *სხვა*.

შენიშვნა: მიმდინარეობს